დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109243091**
თარიღი:**04/11/2024**

„დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის Ng-109. 109240882 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.შევიდეს ცვლილება „დმანისი - თბილისის მარშრუტზე ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების და სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების განსაზღვრის და გადახდის სისტემის დანერგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის Ng-109.109240882 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სამგზავრო გადაყვანის ტარიფის, შეღავათების და გადახდის სისტემის დანერგვის წესში“ (დანართი N2) და მე - 4 მუხლს მე-2 პუნქტის მერე დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირებს, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის (ბარათის გამცემი) მიერ გაცემული ბარათის ელექტრონულ აღმრიცხველზე უფასოდ დაფიქსირებიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში შეეზღუდოთ ბარათით სარგებლობა.”

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი